

TKT-ის გამოცდის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ შემდეგ-ვებ გვერდს

<http://www.cambridgeenglish.org/exams-and-qualifications/tkt/>

შედგება სამი მოდულისგან, რომლებიც მოიცავს სწავლების სხვადასხვა ასპექტს. მოდულების ჩაბარება შესაძლებელია ერთდროულად ან ცალ-ცალკე ნებისმიერი თანმიმდევრობითა და ნებისმიერ დროს. თითოეული მოდული შედგება 80 წუთიანი ტესტისაგან 80 შეკითხვით.

მოდული 1 შედგება 3 ნაწილისაგან. ეს მოდული ამოწმებს რამდენად ერკვევა მასწავლებელი ინგლისური ენის სწავლების ზოგად ტერმინოლოგიასა და პრინციპებში. მოდულში გამახვილებულია ყურადღება ინგლისური ენის შესწავლის ბაზისურ ცოდნაზე და იმაზე, თუ რა რესურსები შეიძლება იქნეს გამოყენებული საკლასო სწავლების დროს.

- ენისა და ენობრივი უნარების აღწერილობა (40 საკითხი)
- ენის შესწავლის ცოდნა და გამოცდილება (15 საკითხი)
- ენის სწავლების ცოდნა და გამოცდილება (25 საკითხი)

მოდული 2 შედგება 2 ნაწილისაგან. მოდულში გამახვილებულია ყურადღება იმაზე, თუ რა ცოდნა და უნარები სჭირდება მასწავლებელს გაკვეთილის ან გაკვეთილების დაგეგმვისას, ასევე თუ რა რესურსებია საჭირო გაკვეთილის დაგეგმვისას.

- გაკვეთილის ან გაკვეთილების დაგეგმვა და მომზადება (40 საკითხი)
- რესურსების შერჩევა და გამოყენება (40 საკითხი)

მოდული 3 შედგება 2 ნაწილისაგან. ეს მოდული ამოწმებს მასწავლებლის ცოდნას, თუ რამდენად შეუძლია კლასის მართვა.

- მასწავლებლისა და მოსწავლის საგაკვეთილო ენა (40 საკითხი)
- კლასის მართვა (40 საკითხი)